

მაინინგ სიმძლავრის გაზიარების ხელშეკრულება

მე, (შემდგომში „**დამკვეთი**“), ვეთანხმები მაინინგ სერვისების პირობების შემდეგ ვადებსა და პირობებს (შემდგომში „**ხელშეკრულება**“), რომელიც გაფორმებულია შემდეგ მხარეებს შორის:

1. შპს „გალიფრეი“, საიდენტიფიკაციო კოდი 406192329, საქართველო, თბილისი, წერეთლის 116 („**სერვისის პროვაიდერი**“); და
2. მე, „**დამკვეთი**“.

წინამდებარე ხელშეკრულების პირობების თანახმად, სერვისის პროვაიდერი ხელმისაწვდომს გახდის დამკვეთისთვის აქციებს სერვისის პროვაიდერის მაინინგ მოცულობაში.

1. სერვისები

სერვისის პროვაიდერი თანახმაა, უზრუნველყოს დამკვეთი მისი მაინინგ მოცულობის წარმოებით, რომელიც ექვემდებარება შემდეგ პირობებს:

ხელმისაწვდომი ტექნოლოგია: SHA-256 Hashing

ვადა: 1 წელი

გადახდის სიხშირე: ყოველდღიური

მაინინგ გაშვება („მონეტები“): სერვისის პროვაიდერსა და დამკვეთს შორის არსებული შეთანხმებისამებრ, სადაც ხელმისაწვდომია კონვერტირება დროდადრო, მაგ. ბიტკოინი ან სხვა ელექტრონული ვალუტებში

დამკვეთი ერთპიროვნულად იქნება პასუხისმგებელი შესაბამისი ტექნიკური აღჭურვილობის (პროგრამული უზრუნველყოფა/ტექნიკური უზრუნველყოფა) დაცვაზე, რაც საჭიროა წინამდებარე სერვისის მისაღებად. დამკვეთი მიიღებს მონეტებს, რომელიც ნაყიდა წინამდებარე მაინინგ სიმძლავრის და მე-2 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად მოქმედი ანაზღაურების თანახმად. დამკვეთი ასევე ადასტურებს, რომ წინამდებარე სერვისების გაწევა მოხდება ყველა შესაძლო ძალისხმევის გათვალისწინებით. მაინინგ სიმძლავრის ხელმისაწვდომობა და შესაბამისად მონეტების გამოშვება შესაძლოა შეიცვალოს მაქსიმუმ 5%-მდე. სხვა შემთხვევაში, სერვისის პროვაიდერი უზრუნველყოფს, რომ იგი შეინარჩუნებს ყველა საშუალებას და შესაბამის მარაგს კარგ სამუშაო მდგომარეობაში, იმისათვის რომ თავიდან იქნეს აცილებული ნებისმიერი ზემოხსენებული ცვალებადობა.

2. ანაზღაურება

მომსახურების გათვალისწინებით, დამკვეთი თანახმაა გადაუხადოს სერვის პროვაიდერს თანხა (შემდგომში „ანაზღაურება“):

ა. 0.5 ლარი თითოეულ GH/s-ზე წინასწარ

3. პასუხისმგებლობის შეზღუდვა

სერვის პროვაიდერის ვალდებულების ზარალის მიუყენებლად, გასწიოს მომსახურება ყველა შესაძლო ძალისხმევის გათვალისწინებით, **მხოლოდ**, სერვისის პროვაიდერის ნებისმიერი პასუხისმგებლობა წინამდებარე ხელშეკრულების თანახმად და მასთან დაკავშირებით შეიზღუდება წინასწარ განზრახულ შეცდომაზე და უხეშ დაუდევრობაზე. გარდა ამისა, სერვისის პროვაიდერი არ იქნება პასუხისმგებელი დამკვეთის მიერ ფორს-მაჟორის შედეგად გამოწვეულ ნებისმიერ დაზიანებაზე, რაც მოიცავს მონეტის ბაზრის ნებისმიერ დესტრუქციას ან განადგურებას.

4. ვადა

ა. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაშია ზემოთ მითითებული პერიოდის განმავლობაში.

ბ. სხვა შემთხვევაში, წინამდებარე ხელშეკრულება შესაძლოა შეწყდეს რომელიმე მხარის მიერ მხოლოდ საკმარისი მიზეზით.

გ. დამკვეთის მიერ ხელშეკრულების საპატიო მიზეზით შეწყვეტის შემთხვევაში და ნებისმიერ ასეთ შემთხვევაში ექვის თავიდან ასაცილებლად, დამკვეთი უფლებამოსილი იქნება მე-2 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტით განსაზღვრულ ანაზღაურებაზე იმ დროის პროპორციულად, რაც იწურება ვადის დაწყების შემდეგ, რაც დაყოფილია ვადის მიხედვით.

5. კომუნიკაცია

სერვის პროვაიდერს და დამკვეთს შორის ნებისმიერი სახის კომუნიკაცია განხორციელდება წერილობითი ფორმით, რაც მოიცავს ელექტრონულ ფოსტას და სხვა ელექტრონული შეტყობინების სერვისებს.

6. მონაცემთა დაცვა

დამკვეთი თანხმდება წინამდებარე ხელშეკრულების კონტექსტში უზრუნველყოფილი პერსონალური მონაცემების დამუშავებაზე ხელშეკრულებაში აღწერილის მიზნით და ასევე თანახმაა, გაუქმებამდე ნებისმიერ დროს შეინახოს თავისი მონაცემები ზემოთ მოცემული ვადის გასვლის შემდეგაც. თუ

სერვისის პროვაიდერს მოეთხოვება ნებისმიერი შემდგომი მონაცემის მოპოვება თავისი სერვისების უზრუნველყოფის კონტექსტში, დამკვეთი გაუმართლებელი შეფერხების გარეშე მიაწოდებს სერვის პროვაიდერის მიერ მოთხოვნილ შესაბამის მონაცემებს.

7. წარმომადგენლობები და გარანტიები

დამკვეთი წარუდგენს და გარანტიას აძლევს სერვისის პროვაიდერს, რომ მისთვის ცნობილია მაინინგი, კრიპტო ვალუტები, კონკრეტულად ბიტკოინი, და რომ მისთვის გასაგებია მაინინგ კრიპტო ვალუტებისა და ბიტკოინის ბუნება და იყენებს მათ.

დამკვეთი ასევე წარუდგენს და გარანტიას იძლევა, რომ იგი იქნება მონეტების მესაკუთრე-ბენეფიციარი.

8. საკრედიტო ბარათის სერვისები საკრედიტო ბარათის მომსახურების პროვაიდერის მეშვეობით

მე-8 პუნქტით გათვალისწინებული შემდეგი პირობები გამოიყენება მხოლოდ იმ სერვისებზე, რომელიც ანაზღაურდება საკრედიტო ბარათით:

სერვისის პროვაიდერი იყენებს მესამე მხარის მომსახურებას და ასეთი მესამე მხარის აფილირებულ სერვისებს, რომელიც საშუალებას აძლევს დამკვეთს განათავსოს მონეტარული დეპოზიტები და განახორციელოს გადასახადების გადარიცხვა სერვის პროვაიდერის ვებ-გვერდის ფარგლებში დამკვეთის არსებული საკრედიტო ბარათის გამოყენებით (რამდენადაც და თუ შესაძლებელია და ხელმისაწვდომია) (შემდგომში „საკრედიტო ბარათის სერვისები“ და „საკრედიტო ბარათის სერვის პროვაიდერი“). საკრედიტო ბარათის სერვისები არ მოიცავს რაიმე დამატებით მომსახურებას და ასეთი საკრედიტო ბარათის სერვისები არ ეკისრება დამკვეთს.

სერვის პროვაიდერმა შესაძლოა გაუზიაროს და გადასცეს (მათ შორის ტრანსსასაზღვრო გადაცემა) პერსონალური ინფორმაცია საკრედიტო ბარათის სერვის პროვაიდერს საკრედიტო ბარათის სერვისების გაწევის მიზნით, რომელიც განხორციელდება სერვის პროვაიდერის ვებ-გვერდზე დამკვეთის საკრედიტო ბარათის გამოყენებით. პერსონალური ინფორმაცია გაზიარებული იქნება საკრედიტო ბარათის სერვის პროვაიდერთან მას შემდეგ, რაც დამკვეთი აირჩევს, გამოიყენოს ასეთი მონეტარული გადახდები საკრედიტო ბარათის სერვის პროვაიდერის საკრედიტო ბარათის სერვისების გამოყენებით. წინამდებარე მე-8 მუხლის მიზნით, პერსონალური ინფორმაცია მოიცავს ისეთ ინფორმაციას, რომელიც ახდენს ან რომელმაც შესაძლოა მოახდინოს დამკვეთის, მათ შორის დამკვეთის მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის, იდენტიფიკაცია რეგისტრაციის ფორმის მეშვეობით, როდესაც თქვენ დააფიქსირებთ ვებ-გვერდზე, როგორცაა დამკვეთის ელ-ფოსტის მისამართი, ქვეყანა და ქალაქი ან/და სოციალური ვებ-

გვერდებით უზრუნველყოფილი ინფორმაცია ან ნებისმიერი სხვა საიდენტიფიკაციო მონაცემი, რომელიც მოწოდებულია დამკვეთის მიერ სერვის პროვაიდერის ვებ-გვერდის გამოყენებისას.

ასევე, სერვის პროვაიდერმა შესაძლოა გასცეს ნებისმიერი არაპერსონალური ინფორმაცია, რომელიც მოწოდებულია დამკვეთის მიერ სერვისების გამოყენებით სერვის პროვაიდერის ვებ-გვერდზე საკრედიტო ბარათის სერვის პროვაიდერისთვის იმისათვის, რომ საშუალება მიეცეს საკრედიტო ბარათის სერვის პროვაიდერს, განახორციელოს არაპერსონალური ინფორმაციის წინასწარი გამოკვლევები იმის დასადგენად, დამკვეთი არის თუ არა უფლებამოსილი ასეთი საკრედიტო ბარათის სერვის პროვაიდერის საკრედიტო ბარათის სერვისების გამოყენებაზე (მათ შორის დამკვეთის ტრანზაქციების ისტორია ვებ-გვერდზე, რომელიც უზრუნველყოფილი იქნება ნებისმიერი საიდენტიფიკაციო ინფორმაციის გარეშე და მხოლოდ საკრედიტო ბარათის სერვის პროვაიდერის გამოკვლევების მიზნით).

აღნიშნული პირობების მიღებით დამკვეთი ადასტურებს, რომ ნებისმიერი და ყველა ინფორმაცია, რომელსაც იგი აწვდის სერვის პროვაიდერს, ნამდვილი და სწორია. ნებისმიერი ყალბი ან ცრუ ინფორმაცია ან/და დამკვეთისთვის გაწეული სერვისების ან/და საკრედიტო ბარათის სერვისების გამოყენება აკრძალულია.

დამკვეთი არ არის ვალდებული კანონით, მიაწოდოს სერვის პროვაიდერს ან/და საკრედიტო ბარათის სერვის პროვაიდერს ნებისმიერი პერსონალური ინფორმაცია. დამკვეთი აქვე ადასტურებს და თანახმაა, რომ იგი უზრუნველყოფს სერვის პროვაიდერს ან/და საკრედიტო ბარათის სერვის პროვაიდერს პერსონალური ინფორმაციით საკუთარი ნება-სურვილით სერვისების ან/და საკრედიტო ბარათის სერვისების გაწევის მიზნით.

საკრედიტო ბარათის სერვისების გამოყენებით დამკვეთი თანახმაა და ადასტურებს, რომ მას უფლება არ ექნება და აკრძალება ნებისმიერი თანხის გატანა, რომელიც დამკვეთმა შეიტანა ან/და უფლებამოსილია სერვის პროვაიდერის მიერ გაწეული მომსახურების შედეგად 30 დღის განმავლობაში. იმ შემთხვევაში, თუ დამკვეთის მიერ განხორციელებული ანგარიშსწორება გამოიწვევს თანხის უკან დაბრუნებას ან დგება სხვა მატერიალური საკითხები, სერვის პროვაიდერი უფლებამოსილია, შეინახოს ყველა არსებული, მიმდინარე და სამომავლო მაინინგ გამოშვება.

9. მოქმედი კანონმდებლობა, ენა და სხვა დებულებები

ა. წინამდებარე ხელშეკრულება რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით. მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, მხარეები თანხმდებიან, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს ექნება არაექსკლუზიური იურისდიქცია, მოისმონოს და დაადგინოს ნებისმიერი საქმე, სარჩელი ან საქმისწარმოება, ასევე გადაწყვიტოს ნებისმიერი დავა, რომელიც შესაძლოა წარმოიშვას წინამდებარე ხელშეკრულებიდან ან მასთან დაკავშირებით.

ბ. წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, შესაბამისად ხელშეკრულების ქართულენოვანი ვერსია ეკისრებათ მხარეებს და უპირატესობა აქვს ხელშეკრულების ნებისმიერ თარგმანზე.